

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ტექნიკური დოკუმენტაცია:

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საქართველოს სახელმწიფო გერბის, აბრის, ჰიმნისა და დროშის შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) დანართი N1- ფასების ცხრილის შესაბამისად.

1.2 მოსაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი), უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს, ასევე თანმდევი მომსახურების გაწევა უნდა მოახდინოს მწარმოებლის ტექნიკური მოთხოვნების და რეკომენდაციების დაცვით.

1.3 პრეტენდენტი ვალდებულია:

1.3.1 ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთოს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის გამოუთხოვადი, უპირობო საბანკო გარანტია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1% - ის ოდენობით (ბენეფიციარად განსაზღვრული უნდა იქნეს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“);

1.3.2 იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ელექტრონული პროცედურისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში პრეტენდენტი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განმახორციელებელ ორგანიზაციაში არ წარმოადგენს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული გარანტიის დედანს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ელექტრონული პროცედურის (GEO) შედეგად მიღებული სატენდერო წინადადების შერჩევა/შეფასების წესის 20-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე“.

1.3.3 გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვის და გარანტიის დაბრუნების საკითხები რეგულირდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების წესით, რომელიც ატვირთულია შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციასთან ერთად.

1.4 საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესაბამისი ატრიბუტიკის შესყიდვის შესახებ:

1.4.1. “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს კანონში 2022 წლის 26 აპრილს მოხდა ცვლილება, რის საფუძველზეც საჭიროა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების განთავსება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. შესყიდვისთვის საჭირო ტექნიკური მახასიათებლები განსაზღვრულია “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ არსებული კანონით. სახელმწიფო გერბის, სახელმწიფო დროშის, სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის და საბავშვო ბაღის დასახელების ამსახველი აბრების შესყიდვა მონტაჟით უნდა მოხდეს 55 საბავშვო ბაღისთვის (დანართი N1-ის შესაბამისად). კომპანია ვალდებულია ელექტრონულად აწყობილი ზუსტი

დიზაინი წარადგინოს შემსყიდველთან და შეთანხმოს წარმოების და მონტაჟის დაწყებამდე. აუცილებელია ყველა გამოყენებული მასალა იყოს მთლიანი, გადაბმების და შეწებების გარეშე.

1.4.2. საქართველოს სახელმწიფო გერბი

საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით - დიზაინი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის დანართი N3 შესაბამისად

მონტაჟი დაწესებულების შენობების ფასადზე (ზუსტი ადგილი შემსყიდველთან შეთანხმებით)

მასალა: ორგმინა

ზომა: 60/40სმ

სისქე: არანაკლებ 4მმ

ფასადზე დასამაგრებელი მეტალის სამაგრებით

ზუსტი დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით;

1.4.3. საბავშვო ბაგა-ბაღის აბრა

საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით და დაწესებულების დასახელების აბრა. საქართველოს სახელმწიფო

გერბი სრული სახით - დიზაინი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის დანართი N3 შესაბამისად; საბავშვო ბაღის სრული დასახელება (ბაღების ჩამონათვალი დანართის

შესაბამისად);

ამოტვიფრული ასომთავრული დამწერლობით, ფერი შეთანხმებით. იხ. ნიმუში.

მასალა: ორგმინა

ზომა: 60*40სმ

სისქე: არანაკლებ 4მმ

ოთხივე კუთხეში დამაგრებული მეტალის სამაგრებით

ზუსტი დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით;

1.4.4. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

მართკუთხედ ფორმატზე განთავსებული სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და სახელმწიფო სრული გერბი; აკადნუსხური

დამწერლობით, ფერი შეთანხმებით.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დანართი N4 შესაბამისად; საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით - დიზაინი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დანართი N3 შესაბამისად;

მასალა: ორგმინა

ზომა: 60*40სმ

სისქე: არანაკლებ 4მმ

ოთხივე კუთხეში დამაგრებული მეტალის სამაგრებით

ზუსტი დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით;

1.4.5. საქართველოს სახელმწიფო დროშა

საქართველოს სახელმწიფო დროშა სრული სახით - დიზაინი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის დანართი N1 შესაბამისად;

ქსოვილი პოლიესტერი (გარე გამოყენების, წყალგამძლე), ორმხრივად დაპრინტული და შემოკერილი გვერდებით;

ზომები 1მX1,5მ კანონით დამტკიცებული ზომების პროპორციულად;

დროშა დამაგრებული მეტალის ტარზე.

მეტალის ტარი(ფლაგშტოკი) ცილინდრული მილის ფორმის მასიური სიგრძე 3მ., დიამეტრი არანაკლებ 5სმ;

დროშის ფლაგშტოკი, დამაგრდება მთავარი ფასადის სახურავზე, პარაპეტზე (ცენტრში) მეტალის სამაგრი ანკერებით-

სპეციალურად მოწყობილ ბეტონის არმირებულ ფილაზე.

დროშის სისტემა კლასიკური მექანიზმით, გარე თოკიანი.

დროშის ტარი ანტიკოროზიული საფარით;

ფოლადის თოკით(ბაგირით);

დროშის დამჭიმითა და

დროშის ფიქსატორებით.

2. ელექტრონული ვაჭრობა

2.1 პრეტენდენტი ელექტრონულ პროცედურაში (GEO) ვაჭრობისას წინადადების ფასის კლებას ახორციელებს სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში. სავარაუდო ღირებულება (საწყისი სავაჭრო ფასი) შეადგენს - **103 950 ლარს**.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 „მიწოდებელმა“ დანართი N1-ში მითითებული საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს **45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ჩათვლით**.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, კერძოდ: ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (საბავშვო ბაგა-ბაღები).

3.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღები) ჩამონათვალი მითითებით მოცემულია დოკუმენტაციაზე თანდართულ - დანართი N3-ში.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მოთხოვნა საგარანტიო პირობების შესახებ.

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს და არსებულ სტანდარტებს.

5.2 მოსაწოდებელი საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ 1 (ერთი) წელს (ბუნებრივი ცვეთის გარდა), საქონლის მიწოდებასთან (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) დაკავშირებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წუნის/დეფექტის გამოვლენის ან დაზიანების შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტი შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში მაგრამ არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღისა.

5.4 წუნის/დეფექტის/დაზიანების გამო შეკეთების ან ახლით შეცვლის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

6. მოთხოვნები ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან და ხარისხის შესაბამისობასთან

6.1 დანართი N1-ში მითითებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს.

7. დამატებითი მოთხოვნა

7.1. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტის მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სერტიფიცირებული აუდიტორული სამსახურის/აუდიტორის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა ან საშემფასებლო დოკუმენტი, (დასკვნასთან ან საშემფასებლო დოკუმენტთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის/საშემფასებლო დოკუმენტის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის/საშემფასებლო დოკუმენტის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

7.2 პრეტენდენტმა გამარჯვებულად გამოვლენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაციის დანართი N1- ფასების ცხრილში მითითებული შესასყიდი საქონლის ნიმუში.

8. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები

ა) ფასების ცხრილი, დანართი N1-ის და ტექნიკური დავალების შესაბამისად (ფასების ცხრილის წარმოდგენლობა ან/და განუფასებელი ფასების ცხრილის წარმოდგენა, დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას);

ბ) რეკვიზიტები, დანართი N2-ის შესაბამისად.

გ) შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის გამოუთხოვადი, უპირობო საბანკო გარანტია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია:

9.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან (თანმდები მომსახურებასთან) დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯების გათვალისწინებით მ.შ. დღ.

9.2 ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

9.3 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

9.4 დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით. საკონტაქტო პირი: თათია მარგველაშვილი - 599 00 24 23;

E-mail: Tatamargvelashvili@gmail.com

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, თბილისის N-- საბავშვო ბაგა-ბაღი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე და ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან N-- საბავშვო ბაგა-ბაღისთვის საქართველოს სახელმწიფო გერბის, აბრის, ჰიმნისა და დროშის შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესყიდვა, დანართი N---ის შესაბამისად.
- 2.2 შესყიდვის საშუალება - შესყიდვის ელექტრონული პროცედურა (GEO -----);
- 2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით, მ.შ ტრანსპორტირების.
- 2.3 კლასიფიკატორის კოდი - CPV35800000 - ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები, 35821000 - დროშები, 35821100 - ფლაგშტოკები;
- 2.4 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით.

3. საქონლის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

- 3.1 „მიმწოდებელმა“ დანართი N__-ში მითითებული საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ----- კალენდარული დღის ვადაში.
- 3.2 საქონლის მიწოდების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) ადგილი: _____.

4. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტიის პირობები

- 4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს და არსებულ სტანდარტებს.
- 4.2 მოსაწოდებელი საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) საგარანტიო ვადა შეადგენს ----- (-----) წელს (ბუნებრივი ცვთის გარდა), საქონლის მიწოდებასთან (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) დაკავშირებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
- 4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წუნის/დეფექტის გამოვლენის ან დაზიანების შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტი შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში მაგრამ არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღისა.
- 4.4 წუნის/დეფექტის/დაზიანების გამო შეკეთების ან ახლით შეცვლის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

- 5.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შემსყიდველის ან/და ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მიერ, რათა დარწმუნდნენ მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, წუნის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 5.3 საქონლის დეფექტში, წუნში ან ნაკლში იგულისხმება უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, ქარხნული წუნი, ნორმალური ექსპლუატაციის ან/და შენახვის პირობებში ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლების ან სხვა საექსპლუატაციო თვისებების დაკარგვა და ა.შ.
- 5.4 "მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის მისი აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ

შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია. შემსყიდველის მიერ მოწვეული პერსონალის ან/და მის მიერ ინიცირებული შემოწმების შედეგად საჭირო დრო არ ახდენს გავლენას მიმწოდებელზე დაკისრებული სამუშაოების ვადაზე."

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესაბამისად, მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
 - გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
- 9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს, მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
- 10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

13. ღირებულება

- 13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
- 13.2 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: